ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

2 ოქტომბერი, წამებათი, 1990 წ.
№ 187 (10856) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

603/2 N 10474

113 603

გაზეთ „ლელოს“ პრიზზე

უთქვენოდ ფასი არ ექნება

დღეს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, დაიწყება სეზონის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება მძლეოსნობაში — საქართველოს პირველობა გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. ვისაც ოდნავ მაინც გაინტერესებთ სახე „სპორტის დედოფლისა“ ჩვენში, აუცილებლად დაესწარით ამ შეჯიბრებას. იქნებ თუნდაც მხოლოდ „სპორტული ჯიბრის“ გამო გატეხოთ ნავსი, რადგან, მგონი, აღარც კი გვახსოვს, როდის იყო უკანასკნელად, ჩვენს სტადიონებზე მძლეოსანთა ასპარეზობას მაყურებლები რომ ესწრებოდნენ.



დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენი გადაწყვეტილება უნიადაგო არ იქნება — მძლეოსნებიც შეეცდებიან ოსტატობა და გამარჯვება ვაჟი მძლეოსნისათვის (ოღონდ ამ პრიზების მისაღებად აუცილებელია სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება). გარდა ამისა, ჩვენმა გაზეთმაც დაწესა წამახალისებელი პრემია საუკეთესო ახალგაზრდა მძლეოსნისათვის.

მაშ ასე, დღეს და ხვალ გიწვევთ საქართველოს ეროვნულ სტადიონზე. დღეს ასპარეზობა დაიწყება 15 საათზე, ხვალ — 10 საათზე.

გაზმაურებული ამბის კვალდაკვალ

დევნა-მუქარა გრძელდება

„სთავაზობენ ღალატს 100000 დოლარად“ — ჩვენი გაზეთის — წინა ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა დაწვრილებითი ცნობა იმის შესახებ, რომ კასპაროვ-კარპოვის მატჩის წინ ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე, ამოქმედდა მაფია, რომელიც ცდილობს მოიხიდოს კასპაროვის ხელუნდანტი, ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ზურაბი გუშინ მოსკოვიდან ნიუიორკს გაფრინდა. მოსკოველმა ჟურნალისტებმა, როგორც ეტყობა, ვერ მოახერხეს ქართველ მოჭადრაკესთან შეხვედრა და საკავშირო გაზეთები ცდილობდნენ „ლელოდან“ მიეღოთ ინფორმაცია.

როგორც ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ გაირკვა, თურმე 28-29 სექტემბერის ღამეს თბილისში, აზმაიფარაშვილის ბინაში, ვიღაც უცნობს ხანძარგამომწვევი მოწყობილობა შეუგდია. ზურაბის მეუღლის დედას ეს დროზე შეუმჩნევია. ახლა, როცა საქმეში ძიება ჩაერთო, ჯერ მხოლოდ ის გაირკვა, რომ ბინის დახაწვავად გამიზნული მოწყობილობა შეხვეული ყოფილა გაზეთ „ლიტერატურნაია როსიაში“.

ზურაბის მეუღლე მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა. საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ საკადრისის კორესპონდენტს უთხრა: „აზმაიფარაშვილის ოჯახის უსაფრთხოება საიმედოდ იქნება გარანტირებული. ზურაბს ყველა იცნობს როგორც ნიჭიერ მოჭადრაკეს და საიმედო პიროვნებას. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ხინდის-ნამუსი არ ყიდება“.

მოახლოვდა მატჩი ვაჟთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. მატჩს დიდი ინტერესით მოელიან სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრები. დღეიდან „ლელო“ იწყებს წერილების სერიის ბეჭდვას, რომელიც მსოფლიოს ორი უდიდესი მოჭადრაკის გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის შრვალწლიან საჭადრაკო ეპოპეას ეხება. დღეს გთავაზობთ პირველ წერილს. (იხ. მე-3-4 გვ.)

ოლიმპიელთა უკეთ მომზადებისათვის

საქართველოს სპორტსმენები ენერგიულად ემზადებიან ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის. ოლიმპიადის კანდიდატების უკეთ მომზადების მიზნით თითოეული სპორტსმენისა მიმაგრებულნი არიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ოპერატიულად წამოწევენ დღის წესრიგში მთელ რიგ საკითხებს, სპორტსმენებს და მწვრთნელებს ხელს შეუწყობენ თამაშებისათვის უკეთ მომზადებაში.

საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა ოლიმპიადის კანდიდატებზე მიმაგრებულ მუშაკთა და მწვრთნელთა შეხვედრა. ამ ღონისძიების მიზანი და ამოცანები შეკრებილთ გააცნო საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ.

ასეთი შეხვედრები პერიოდულად გაიმართება და დროდადრო გაწეული მუშაობის შედეგებიც შეჯამდება.

ფედერაციის პლენუმი

გაიმართა ბატუტზე ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გუდაძე.

მეტი რაღა უნდა ექნა?

სიმფეროპოლი. აქ დამთავრდა ვაჟთა 37-ე საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა — ქვეყნის ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვება და ოქროს medალი კუბიშეველმა პაველ ტონკოვმა დაისაკუთრა (34:08.14). ვერცხლისა და ბრონჯაოს ჯილდოები შესაბამისად ხვდათ კიეველებს — ვიქტორ რუაკინსკის (34:09.03) და ვლადიმერ კირიკს (34:11.22).

გუნდური გამარჯვება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა მოიპოვეს. აქ ოქროს medლებით დაჯილდოებულთა შორის არის თბილისელი ვასილ დავიდენკოც, რომელიც პირად ჩათვლაში მეხუთე ადილზე გავიდა.

მეხუთე ადგილი საკავშირო მრავალდღიან რბოლაში ურიგო შედეგი, რა თქმა უნდა, არ არის. იყო დრო, როცა ასეთ მაჩვენებელს ჩვენი ველოსიპედისტები ვერც ინატრებდნენ. მაგრამ დავიდენკოს მეხუთე ადგილი მაინც გაკვირვებას იწვევს და აი რატომ:

11 ეტაპიანი შეჯიბრების ოთხ ეტაპზე დავიდენკო პირველი იყო. ამას გარდა, ერთხელ ეტაპზე მას მეორე ადგილი ხვდა, ერთხელაც — მესამე. რბოლის დამთავრების შემდეგ თბილისელს სამი სპეციალური პრიზი გადაეცა — როგორც ყველაზე აქტიურ, ყველაზე სტაბილურ და საპრიზო ეტაპებზე საუკეთესო ველოსიპედისტს.

რაღა დარჩა, რატომ გავიდა დავიდენკო ასეთი მაჩვენებლებით მხოლოდ მეხუთე ადგილზე? უფრო დაწვრილებით რბოლის დეტალებს ალბათ მისი ჩამოსვლის შემდეგ გავიგებთ. ამჟერად კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ დაყოფილი სტარტით რბოლაში თბილისელმა ოსტატმა 5 წუთი წააგო 16 კილომეტრიან დისტანციაზე. აი სწორედ ეს ჩავარდნაა ჩვენთვის გაუგებარი.

ბრიუსელი. გაიმართა მარათონელ ქალთა ტრადიციული ტურნირი, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა ვალენტინა ლუნეგოვამ (სსრ კავშირი) — 2:40.00.

კოშიცე. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართულ მშვიდობის მარათონულ რბენაში ყველას აჯობა ნიკოლაი კოლესნიკოვმა. 42 კმ. და 195 მ. მან 2:20.28-ში გაირბინა.

ოტავა. ამერიკის ველოსიპედისტთა დიდი პრიზის გათამაშება (ეს შეჯიბრება მსოფლიო თაიის ჩათვლაში შედის) მოიგო იტალიელმა ფრანკო ბალერინიმ. 224 კმ მან 6:02.46-ში დაფარა. მეორე ადგილი დაიკავა თომას ვეგმიულერმა (შვეიცარია), მესამე — სემი მორეელსმა (ბელგია).



დუისბურგი. განმეორებითი მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ადგილობრივ „სვ — 98“-თან მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 8:4, მაგრამ იმის გამო, რომ პირველ მატჩში გამარჯვება უკეთესი ანგარიშით (10:5) დასავლეთგერმანელებს ხვდათ, ნახევარფინალში სწორედ ისინი გავიდნენ.

ეს ყველას დაინტერესებს

რობორი იქნება ოქტომბრის დღეები?

განწყობა

ემოციონალურად გრამდგრადია: 3, 4. 5, 6, 7, 10, 11, 16, 18, 22, 26, 30 ოქტომბერი.

ხელსაყრელი დღეებია: 1, 8, 15, 21, 24, 27, 28, 29.

მოვარბებული კონფლიქტების **დღეებია:** 2, 12, 20, 23, 25.

ნებელობა და აქტივობა

ხაქმიანი გარიგებებისათვის ხელსაყრელი **დღეები** იქნება: 1, 3, 4, 6, 10, 15, 17, 19, 24, 28, 29, 30; 31.

დაძაბულობის კონტაქტების **და** გადაწყვეტილების **მიღებისათვის** მძიმე **დღეები** იქნება: 5, 12, 15, 22, 23, 26.

დღეები, რომელიც თქვენგან **მოითხოვს** სიფრთხილეს **და** განსაკუთრებულ **გულისყურს:** 2, 8, 9, 11, 16, 18, 20.

ზემოქმედება ინტელექტუალურ მოღვაწეობაზე

აღმატებული აზროვნებისა **და** მაღალი **შრომის** ნაყოფიერების **დღეები:** 1, 2, 5, 8, 11, 12, 13, 15, 19, 21, 24, 27.

აზროვნების **დაქვეითების** **დღეები:** 3, 6, 9, 10, 14, 18, 22, 26, 30; 31.

გაფრთხილება მოულოდნელი სიტუაციებისათვის

გამგზავრებისა **და** **მოგზაურობისათვის** **ხელსაყრელი** **დღეები:** 2, 4, 8, 15, 19, 21, 22, 24, 26, 28, 29, 31.

გამგზავრებისა **და** **მოგზაურობისათვის** **განსაკუთრებით** **არახელსაყრელი** **დღეები:** 1, 3, 6, 9, 12, 16, 18, 20, 22, 30.

მოვარბებული **ტრავმების** **დღეები:** 4, 6, 9, 11, 12, 13, 18, 20, 25, 26, 27.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„ბურია“ (ლანჩხუთი) —
„ხანაგარდო“ (სამტრედია) 2:0
„დილა“ (ბორი) —
„ამირანი“ (ონამჩირე) 7:0
„ბათუმი“ (ბათუმი) —
„მერცხალი“ (ოზურგეთი) 0:0
„ბორდა“ (რუსთავი) —
„ოდიში“ (ზუგდიდი) 2:1
„იბერია“ (თბილისი) —
„ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:0
„მზიური“ (ბალი) —
„ცხუმი“ (სოხუმი) 1:0
„ივერია“ (ხაშური) —
„კოლხეთი“ (poti) 1:0

ფოთის „კოლხეთი-1913“-ის და თბილისის „შევარდენი-1906“-ის მატჩი გადატანილია.

მატიანე

ჩვენი სპორტის ისტორია ამ ახალგაზრდებს გვერდს ვერ აუვლის, რადგან ქართული კრივის ოქროს ხანა, მეტწილად, სწორედ მათზე მოდის, ვისაც სურათზე ხედავთ: ბორის კალაძე, შალვა გორგასლიძე, იგორ ივაშჩენკო, ბორის კვინიხიძე, ზურაბ კანდელაკი, შალვა დვალი, გიორგი დარახველიძე, ლევან ღუდუშაური. მათ ანდრო ნავასარდოვთან და გაბრიელ ხანუკაშვილთან ერთად შექმნეს ის განუმეორებელი, უნიკალური სკოლა ბრძოლისა, რომელიც გამორჩეული იყო მთელს კავშირში. ის უდიდესი გამარჯვებაც, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 1945 წელს მოიპოვა საკავშირო პირველობაზე, ამ მოკრივეების დამსახურებაა. გარდა ამისა, შალვა გორგასლიძემ (1944 წელს) და ლევან ღუდუშაურმა (1945) თავიანთ წონებში ქვეყნის ჩემპიონის სატიტლო წოდება მოიპოვეს, ორი ბორისი — კალაძე და კვინიხიძე კი პრიზიორები იყვნენ, შალვა დვალი თვით ლეგენდარულ ნიკოლაი კოროლიოვსაც შეხვედრია რინგზე, გიორგი დარახველიძე რინგის პროფესორად წოდებულ კონსტანტინე გრადოპოლოვს შეჰბრძოლებია.

რაც შეეხება ამ სურათს, იგი გადაღებულია 1939 წელს, როცა მასზე აღბეჭდილი მოკრივეები სპორტსაზოგადოება „სტროიტელის“ საკავშირო პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ. მარცხნივ დგას ალექსანდრე ბუზოღლი, შემდეგში ცნობილი ქართველი არქიტექტორი, რომელიც იმხანად მოკრივეების მწვრთნელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკ

საქართველოს სოფლებში ეროვნული სპორტული ტრადიციების აღორძინებლად

ხელმძღვანელობა თანადგომა მაინც აუცილებელია

ჩვენ ისე დიდხანს ვიცხოვრეთ ფორმალური ლოზუნგების ქვეყანაში, რომ, შესაძლოა, ზოგს დღეს აგანგაშებული სიტყვები — „ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!“ უწინდებურად ჩვეული, მოდური ლოზუნგი ჰგონია.

ოდილგან უქიათ ქართველ ასულთა და ვაჟთა გარეგნული მომხიბვლელობა. შესაფერი ათლეტური აღნაგობის ქართველი ვაჟკაცი ყველას ყურადღებას იპყრობდა. ტიპიური ქართველი, მაღალი, ტანწერწეტა, სხარტი და კუნთმაგარი იყო... ცივილიზაციამ, ავტომობილურებამ, მაძღარმა კვებამ გვიწილადა უძრაობა, უმოქმედობა, ზედმეტი სიმსუქნე, თანდათან დაკარგეთ როგორც სხეულის გარეგნული ფორმა, ისე შინაგანი, ქართველი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელი ღირსეული ბუნებრივი თვისებები.

სამწუხაროა, რომ სახელოვანი წინაპრების სიჩაუქისა და სიმამაცის გახსენება მხოლოდ გაშლილ სუფრასთან ვიცით და ყოველდღიურ ცხოვრებაში, ფიზიკელი გონებით, რატომღაც თვალს ვარიდებთ, გულგრილობას ვიჩენთ იმ ძველი ადათ-წესებისადმი, ერს სულიერად და ფიზიკურად რომ აჯანსაღებდა.

გორის რაიონში კარალეთი ერთ-ერთი დიდი სოფელია. მემატიანე გადმოგვცემს, რომ კარალეთი, ანუ ძველი „ნაჭარმაგევი“ დავით აღმაშენებლის სათაყვანო ადგილი ყოფილა. ჩვენს ღირსეულ წინაპარს იქ ყოფნა სიამეს და სიმშვიდეს ჰგვრიდა თურმე. ისტორიული წყაროებითვე ვიცით, რომ ნაჭარმაგევში ქართველი მეფეები შრავალ სპორტულ სანახაობას აწყობდნენ. ვინ მოთვლის, რამდენი ბეჭდაუდებელი ფალავანი აღზრდილა ამ სოფლის ბარაქიან მიწა-წყალზე.

ეროვნულ სპორტულ ტრადიციებს კარალეთელები მუდამ სათუთად უფრთხილდებოდნენ. როგორც სოფლის თავკაცები გადმოგვცემენ, 45 წლის წინ მაშინდელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოფლის თავშეყრის ადგილზე საჭიდაო მოაწყობინა. კარალეთში გამართულ ქართულ ჭიდაობას თურმე ვახტანგ ბალავაძე ესწრებოდა ხშირად. აქ დაოსტატდნენ რაიონის სახელოვანი ფალავნები: სერგო ქარელი, გივი ზაალიშვილი და სხვები. ქართული ჭიდაობა სოფლის მშრომელთა ერთ-ერთი საყვარელი სანახაობა იყო.

გავიდა ხანი. ახალგაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა სწავლა-განათლების მისაღებად ქალაქს მიაშურა. ვინც სოფლად დარჩა, ხელმძღვანელთა გულგრილობით გულგატეხილმა ხელი ჩაიქნია და... ქართველი კაცის ბუნების „სარკე“, სპორტის შესანიშნავი სახეობა — ქართული ჭიდაობა დავიწყებას მიეცა. დროთა განმავლობაში საჭიდაო მოედანი ნაგავსაყრელად იქცა, ახლა მოედანი კვლავ კეთილმოეწყო და ახალგაზრდობის სპორტული დაოსტატების სამსახურში ჩადგა, მაგრამ აქვე გვინდა ისიც გავიხსენოთ, თუ რამდენ პრობლემასთან იყო დაკავშირებული ამ საკითხის მოგვარება. შეუძლებელია ერთ საგაზეთო კორესპონდენციაში გამოიხატოს ის გულისტკივილი, მღელვარება, რაც კარალეთელმა ახალგაზრდებმა გადაიტანეს საჭიდაოს აღდგენის გამო.

დღეს კარალეთში მრავლად არიან ახალგაზრდები. მათ დასვენებისა და გართობის ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ. სოფელში იქმნება ახალ-ახალი დასახლებები, სადაც აუცილებლად უნდა მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. საჭიდაო კი, როგორც მოგახსენეთ, აღდგა. სოფლის ფალავნების — შოლვა სუხიტაშვილის, რობიზონ ბუდედაშვილის, თემურ ხარიბეგაშვილის, გივი პაპუკაშვილის, ვასილ ბიბილაშვილის, ვალერი არჩვაძის მეთაურობით აქ ყოველ შაბათს და კვირას ეჯიბრებიან ერთმანეთს ფალავნები, მაგრამ სოფლის ხელმძღვანელობის თანადგომა და მხარდაჭერა, მაინც აუცილებელია.

ქართულ სოფლებში ეროვნული სპორტული ტრადიციების აღდგენა, ამ საქმის მოწადინეთა დახმარება დიდი მამულიშვილური ვალია.

ლიანა კავსაძე

გორი,

წერილი მომზადდა სოფლის ახალგაზრდობის მოთხოვნით.

ქამი ფიქრისა.
ქამი განსჯისა

წარმატება და... „სტანდარტული პრობლემები“

ჩვენში ძიუდოს დანერგვის შემდეგ სამბო ერთხანს ჩრდილში მოექცა. ბოლო წლებში კი, რომ იტყვიან, ყინული დაიძრა და ჩვენი მოჭიდავეები მეტი წარმატებით ასპარეზობენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

წელსაც, ჯერ იყო და მალხაზ ბერუაშვილმა მოიპოვა ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, შემდეგ კი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა ჭაბუკმა ფალავნებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს; მოიპოვეს რვა მედალი, აქედან — ოთხი ოქროსი,

ოთხიც — ბრინჯაოსი. განვლილმა სპარტაკიადამ დაგვანახვა, თუ რამდენ პოპულარულია ჭიდაობის ეს სახეობა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში კი არა, მსოფლიოში სამბოს ტონის მომცემნი ჯერჯერობით რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები არიან. სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას მოსწავლეთა სპარტაკიადაზე დაკავებულ გუნდურ პირველ ადგილზე, რამდენადაც მსოფლიო სარბიელზე გასვლამდე ჩვენს სამბისტებს ჯერ საკავშირო ჩემპიონატებზე თუ პირველობებზე უხდებათ თავიანთი სიძლიერის დამტკიცება. მათ ამჯერად ეს შესანიშნავად მოახერხეს — უკან ჩამოიტოვეს ფავორიტი გუნდი.

მიღწეული შედეგი უდავოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ რას უნდა ველოდოთ მომავალში?

დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სამბისტთა 270-მდე ჯგუფში გაერთიანებულია 4500-მდე მომეცადინე. სამბოს ჯგუფები ფუნქციონირებს რესპუბლიკის 30 რაიონსა და ქალაქში. ღვთით ნაბოძები ნიჭით ქართველ კაცს ყოველთვის შესწევდა უნარი ჭიდაობისა და ამის გამო ხშირად რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე იმ რაიონების წარმომადგენლებსაც ვხედებით, სადაც სექციები არ ფუნქციონირებს. საქართველოში სამბოს ძირითადი ცენტრებია: თბილისი, აფხაზეთი, საგარეჯო, ფოთი, თელავი, ქუთაისი და კასპი. — ოთხმოცამდე მწვრთნელი ემსახურება სამბოს განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში —გვითხრა ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების სამბოს განყოფილების გამგემ გია ოქროპირიძემ — თუკი ყველა მწვრთნელი თავის საქმეს გააკეთებს და ნაკრებ გუნდში თითო სპორტსმენს მაინც მოგვცემს ყველა ასაკში, ჩვენი საქმე უკეთესად იქნება.

დიდი ხანია წარმატებები არ ჰქონიათ და არც შევსება მოუცია გურჯაანის, მესტიის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებს. ქუთაისში ჰყავთ რამდენიმე კარგი ჭაბუკი მოჭიდავე, სადაც მუშაობენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გივი სარდანაძე და ახალგაზრდები — ალექსანდრე კახაძე და ვლადიმერ ვაჩიბერიძე. დუშეთშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. იქ მხოლოდ გია ნაცვლიშვილის (საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის წლევანდელი გათამაშების მესამე პრიზიორი — **გ. ბ.**) იმედად არიან. სამაგიეროდ, განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ: ფოთში — ზურაბ ტუღუში, სოხუმში — ვლადიმერ კუვიჩკო, საგარეჯოში — რობინ ყორღანაშვილი, თელავში — ფრიდონ ჩიტაშვილი, თბილისში — ელიზბარ ბიგანიშვილი, თენგიზ არაბული. ეს უკანასკნელი მოსწავლეთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდა და დიდი წვლილიც მიუძღვის გამარჯვებაში. ჩვენც გვაქვს ჩვენი პრობლემები, რომლებიც, სამწუხაროდ, „სტანდარტულად“ ითვლება: რაიონებში მომუშავე მწვრთნელებს არ გააჩნიათ სათანადო პირობები, დარბაზების აღჭურვილობა ფრიად არადამაკმაყოფილებელია, ზოგიერთ რაიონში ძველ ლეიბებზე უხდებათ ვარჯიში. ჩვენი ძირითადი ნაკრებიც არ იმყოფება მთლად უკეთეს მდგომარეობაში — გუნდს საკუთარი დარბაზი არ გააჩნია, მეორე წელია სპორტკლუბ „ლოკომოტივს“ დრბაზშია შეკედლებული, სადაც ცხელი წყლის საკითხი დღემდე მოუგვარებელია. მომავლის იმედი, რა თქმა უნდა, გვაქვს. რამდენადაც ნაკრებთან მუშაობა სწორი გზით მიმდინარეობს როგორც ახალგაზრდულ, ასევე ძირითად გუნდებში, რეზერვიც საიმედოა და ვნახოთ...

გია ბურდული

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში ქალთა შორის

ყველა მსურველმა ვერ იასპარეზა

ქალთა ძიუდო. ვაჟებთან შედარებით, ახალი ხილია ჩვენში. ამის და კიდევ სრულიად გასაგები გარემოების (ქალების ჭიდაობაზეა საუბარი) გამო ქალთა და ვაჟთა ასპარეზობები ერთმანეთს ნაკლებად ჰგვანან.

ამასთან, საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში ქალთა შორის, რომელსაც თელავმა უმასპინძლა, მონაწილეობის ყველა მსურველმა ვერ იასპარეზა — ამხანად გაიფიცნენ საქალაქთაშორისო რეისების ავტობუსების მძღოლები და ამ მიზეზით ზოგი გუნდი შინ დარჩა.

ქვემოთ კი გაგაცნობთ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონებს წონითი კატეგორიების მიხედვით.

48 კგ. რუსუდან კუპატაძე; **52 კგ.** ქეთევან ნატროშვილი (ორივე—საგარეჯო); **56 კგ.** ია ზლულაძე (თბილისი); **61 კგ.** ნანი მირუაშვილი; **66 კგ.** თამრიკო გორგიშვილი (ორივე — გორი)); **72 კგ.** ნინო მარჯანიშვილი (თბილისი); **+72 კგ.** ნინო ქუცნიაშვილი; **მძიმე წონა.** თეა დონღუზაშვილი (ორივე — მცხეთა).

არმიელებში — მესამე

ხაბაროვსკში ჩატარდა შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ ტურნირზე წარგზავნილი იყო საქართველოს პირველობის მესამე პრიზიორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გივი გოგიჩაიშვილი. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 13-მა მოჭადრაკემ, მათ შორის შვიდმა ოსტატმა. უშელავათო ბრძოლაში 8,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა ოსტატმა ალექსანდრე ნენაშევმა (ტაშკენტი), 8 ქულით მეორეზეა სპორტის ოსტატი ვიქტორ ვარავინი (სარატოვი). მესამე ადგილი კი 7 ქულით მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა გივი გოგიჩაიშვილმა (მწვრთნელი ჰენრიხ არშტეინი).

პირადში წარშმატებლად, გუნდურში—ვერცხლის მედალი

თბილისში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან ველოსრბოლაში ქალთა შორის. ცხრა ეტაპის ჯამში გამარჯვება და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა მოსკოვის „დინამოს“ წარმომადგენელმა რასა პოლიკიავიჩუტემ — 15:06.55. მეორე ადგილი ხვდა ნატალია ოლშევსკაიას (ლიტვის „ბანგა“)—15:07.27, მესამე — ვალენტინა გერასიმოვას (მოსკოვი) — 15:08.24.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები განაწილდა ასე: 1. მოსკოვი — 45:25.07, 2. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 45:36.32, 3. „ბანგა“ — 45:43.08.

თბილისელმა სტელა პრიახინამ, რომელმაც წარმატებით დაიწყო ტურნირი და დიდხანს ლიდერთა შორის იმყოფებოდა, ავადმყოფობის გამო საბოლოოდ XVIII ადგილი დაიკავა, მაგრამ მას, როგორც პროფკავშირთა ნაკრების წევრს, გუნდური მეორე ადგილისათვის ვერცხლის მედალი მაინც გადაეცა.

ამჯერადაც კინალამ ჩაიშალა

როგორც ჩანს ჩოგბურთელთა პრესტიჟული ტურნირების მოწყობა საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. ალბათ ყველას კარგად ახსოვს ამასწინანდელი ლაფსუსი, რომლის მიზეზითაც კინალამ ჩაიშალა მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის გათამაშების კალენდარული მატჩი საბჭოთა და ესპანელ ჩოგბურთელთა შორის. მაშინ მატჩის ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს მოედნის დროულად მომზადება და რომ ესპანელებს დიდსულოვნება არ გამოეჩინათ, შეხვედრა ჩაიშლებოდა; მასპინძლებს კი წაგება ჩაეთვლებოდათ. საბჭოთა ნაკრებმა ეს შეხვედრა მაინც წააგო, მაგრამ ჩოგბურთის ფედერაციის პრესტიჟი, ასე თუ ისე, მაინც გადარჩა.

ამ დღეებში ჩაშლის წინაშე აღმოჩნდა მოსკოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირიც, რომლის საპრემიო ფონდი 100 ათასი დოლარით იყო განსაზღვრული. ანალოგიური ტურნირი მოსკოვში პირველად შარშან ჩატარდა და მას „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ერთ-ერთი ეტაპის სტატუსი მიეკუთვნა.

წლევანდელი ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაირკვა, რომ ცნობილმა ფირმამ „პრო სერვმა“ უარი განაცხადა საპრემიო ფონდის გამოყოფაზე და მონაწილენი, ფაქტობრივად, უფულოდ დატოვა, რაც არანაკლებ გაბმაურებული სკანდალის მიზეზი გახდებოდა. და აი ამ კრიტიკულ მდგომარეობაში სიტუაცია იხსნა „სოვინტერსპორტმა“, რომელმაც მთავარი სპონსორის ფუნქციები ითავა. ტურნირი, რომელმაც მის ორგანიზატორებს აშკარად დააწყვიტა ნервები, როგორც იქნა დაიწყო გუშინ.

რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების მონაწილეებზე: როგორც საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლგა მოროზოვამ განაცხადა, გუნდში შეყვანილია ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი: ლეილა მესხი, ლარისა სავჩენკო, ნატალია მედვედევა და სხვები. მოსკოვის კორტზე სასპარეზოდ არ გამოვა მხოლოდ ნაკრების პირველი ნომერი ნატალია ზვერევა. უფროსმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ იგი ვერ მოიხიბლა გამარჯვებულისთვის დაწესებული 17,5 ათასი დოლარით და ამიტომაც ზვერევამ შინ, მინსკში დარჩენა და დასვენება ამჯობინა.

ტურნირი, რომელშიც 32 სპორტსმენი ასპარეზობს, 7 ოქტომბერს დამთავრდება.

ლანინაშრდა ემსჩემპიონი

ბიჭვინთაში შემდინარეობს მატჩ-რევანში ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე 100-უჯრედიან შაშში მსოფლიო ჩემპიონ ოლგა ლევინა-სუხარევსკაიასა (ხარკოვი) და ექსჩემპიონ ზოია გოლუბევას (რიგა) შორის. ეს არის დიდოსტატთა მეორე შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში. მათი პირველი შეხვედრა გაიმართა 1988 წელს და ზოია გოლუბევას გამარჯვებით დამთავრდა (8:4), 1989 წელს კი ლევინა-სუხარევსკაია კვლავ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ახლა ზ. გოლუბევას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად 12 პარტიაში სჭირდება 6,5 ქულის მოგროვება, ხოლო მის მეტოქეს ტიტულის შესანარჩუნებლად და 6 ქულაც ხელს აძლევს.

ამ მატჩს სპონსორია ხარკოვის რეგიონალური საგარეო ეკონომიკური ასოციაცია „პარტნიორი“, რომელმაც დააწესა საპრიზო ფონდი — მატჩის გამარჯვებულისთვის —12 ათასი მანეთი, დამარცხებულისთვის — 10 ათასი მანეთი.

ამჟამად ანგარიშია 5:2 ზოია გოლუბევას სასარგებლოდ.

მატჩის მთავარი არბიტრია ჰოლანდიელი დაუვ დე იონგი, მას ეხმარებიან საბჭოთა არბიტრები: ვალერი ბრეტლი, ხეინარ იახუ და თბილისელი საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს საერთაშორისო შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე სერგო თომაშვილი.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

ბაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 29-ე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „სპპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „სულორი“ (ვანი) 0:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:2, „სიონი“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 1:0, „იმერეთი“ (ხონი) — „ბაბტრიონი“ (ახმეტა) 2:1, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2.

●**კოზიცეში** 26 სექტემბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა ისლანდიის გუნდი. გოლი 43-ე წუთზე გაიტანა დანეკმა.

●**პალერმოში** გაიმართა მეტად საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა იტალიისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის. იტალიელთა თავდამსხმელმა რობერტო ბაჯომ 45-ე წუთზე გაიტანა ბურთი ჰოლანდიელთა კარში და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა იტალიელებს.

●**ზეფციში** ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო ბულგარეთის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს კორნელიუსონმა და ანდერსონმა.

●**რუშინელმა** ფეხბურთელებმა ბუქარესტში პოლონეთის ნაკრები მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ლაზარისა და როტარიუს ორ ბურთს სტუმრებმა მხოლოდ ერთი-ით უპასუხეს (ვარკიხა).

●**ცნობილმა** პოლონელმა ველოსიპედისტმა ლეხ პიასეცკიმ, რომელსაც რამდენჯერმე აქვს მოგებული მშვიდობის ველორბოლა და მსოფლიო ჩემპიონატი, პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ გადწყვიტა სპორტს საერთოდ თავი დაანებოს. მიზეზი? — მოყვარული ველოსიპედისტისთვის ერთობ ძნელია ვარჯიში პროფესიონალთა დატვირთვებით.

● **1990 წლის** საუკეთესო სპორტსმენს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანია ერთობლივად აირჩევენ. ლაურეატებს დასახელებენ მომდინარე წლის 21 დეკემბერს ბადენ-ბადენში. პოპულარული სპორტსმენის პრიზი კი გადაეცემა იმას, ვისაც სორტული გაზეთების მკითხველები უპირატესობას მიანიჭებენ.

● **ლოზანაში** ოლიმპიური მუზეუმის მშენებლობისათვის ესპანურმა ფირმამ „ნუტრეკსპამ“, რომელიც კვების პროდუქტებს ამზადებს, გადარიცხა 1,2 მილიონი დოლარი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უანგარო დახმარებისათვის ფირმის ხელმძღვანელობას მადლობის წერილი გაუგზავნა.

საკავშირო პირველობა ფეხბურთში

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:1.

საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ 3 ტური დარჩა. ლიდერთა ოთხეულში იმყოფებიან კიევის „დინამო“, „სპარტაკი“, ცსკა და ზოსკოვის „დინამო“. კიეველებს 32. ქულა აქვთ, სპარტაკელებს, ცსკა-სა და „დინამოს“ (მოსკოვი) — 27-27. კიევის დინამოელები კვლავ ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტები არიან.

კასპაროვი-კარპოვი: არნახული შეჯიბრება

ანატოლი კარპოვი (დაიბადა 1951 წ. 23 მაისს, ზლატოუსტში) მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა 1975 წელს, რადგან რობერტ ფიშერს განზეთქილება მოუვიდა ფიდესთან და არ ისურვა შეთავაზებულ პირობებში თავისი წოდების დაცვა.

1978 წელს ბაგიოში (ფილიპინები) კარპოვმა მეტად შეუპოვარ ბრძოლაში პირველად დაიცვა თავისი წოდება პრეტენდენტ ვიქტორ კორჩნოისთან ბრძოლაში: 16,5:15,5 (+6—5=21). ჩემპიონისათვის გაცილებით უფრო ოლი გამოდგა კიდევ ერთი მატჩი იმავე პრეტენდენტთან სამი წლის შემდეგ. 1981 წელს მერანოში (იტალია) კარპოვმა გაიმარჯვა ანგარიშით 11:7 (+6—2=10).

და აი, კიდევ სამი წლის შემდეგ კარპოვს წინ აღუდგა ახალი პრეტენდენტი — გარი კასპაროვი.

ულიმიტო მატჩი

გარი კასპაროვი (დაიბ. 1963 წ. 13 აპრილს, ბაქოში) 1982 წლიდან ჩაება მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში. ამ წელს მან გაიმარჯვა მსოფლიო პირველობაზე საზონთაშორისო ტურნირში, რომელიც მოსკოვში გაიმართა. 1983 წელს მან მოსკოვში პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში სძლია ალექსანდრე ბელიავსკის (ლვოვი) — 6:3 (+4—1=4). რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ბაქოელის უპირატესობა ამ ორთაბრძოლაში ეჭვს არ იწვევდა. იგივე მოხდა ნახევარფინალში ვიქტორ კორჩნოისთან (ლონდონი, 1983 წ. 7:4, +4—1=6) და ფინალში ვასილ სმისლოვთან (ვილნიუსი, 1984 წ. 8,5:4,5, +4—0 =9). აი რას წერდა კასპაროვის წარმატებების შესახებ დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი: „კასპაროვმა მთელ საჭადრაკო ელიტასთან (მსოფლიო ჩემპიონის ჩაუთვლელად) 88 პარტია ითამაშა. აქედან 41 მოიგო, 44



ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 3 წააგო. მან პირველივე ცდით დასძლია შესარჩევი ციკლის ძნელი დისტანცია და მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის უფლება მიიღო“.

ერთი სიტყვით, ცხადი იყო, რომ კასპაროვის სახით მსოფლიო ჩემპიონს ფრიად სახიფათო მეტოქე გამოუჩნდა. გამარჯვებულად ის მხარე ცხადდებოდა, ვინც პირველად მოიგებდა 6 პარტიას (ე. ი. იგივე პირობები იყო, როგორიც კარპოვისა და კორჩნოის მატჩებში).

მატჩი მიმდინარეობდა 1984 წლის 19 სექტემბრიდან 1985 წლის 15 თებერვლამდე მოსკოვში და მას სჯიდა გამოჩენილი იუგოსლავიელი დიდოსტატი და ფიდეს არბიტრი სვეტოზარ გლიგორიჩი. ოფიციალური სეკუნდანტები: მსოფლიო ჩემპიონის მხრიდან — დიდოსტატები იური ბალაშოვი და იგორ ზაიცევი, ხოლო პრეტენდენტისა — ოსტატი ალექსანდრე ნიკიტინი და დიდოსტატი გენადი ტიმოშჩენკო.

მატჩი ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა, როგორც გათამაშებული პარტიების რაოდენობით (48 პარტია), ისე დროის ხანგრძლივობითაც (159 დღე). ყველაზე კურიოზული კი ის იყო, რომ იგი საერთოდ არ დამთავრებულა — მრავალთვიანი ბრძოლის შემდეგ ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა (ფილიპინები) გადაწყვიტა შეეწყვიტა ჰაეჭრობა.

ამ მატჩის დაწყებამდე ჩემპიონმა და პრეტენდენტმა სხვადასხვა შეჯიბრებაში სამი პარტია ითამაშეს — სამივე ყაიმით დასრულდა. ამასთან, ორ მათგანში ინიციატივა კასპაროვის მხარეზე იყო. ყოველივე ეს ექსპერტებს წინასწარ იმის თქმის საშუალებას აძლევდა, რომ მატჩი მეტად მძაფრი გამოდგებოდა.

დასაწყისში მატჩმა ექსპერტებსაც და გულშემატკივრებსაც სრულიად გაუცრუა იმედები. საქმე ის იყო, რომ პრეტენდენტმა დიდხანს ვერ აუღო ალღო კარპოვის თამაშის მანერას. პირველ 9 პარტიაში კარპოვმა 4 მოიგო, პრეტენდენტმა — ვერც ერთი. შეიქმნა საფრთხე, რომ მატჩი ძალიან ადრე დამთავრდებოდა. თვით კარპოვი ამ მომენტისათვის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა— მეტოქისათვის ერთი მოგების საშუალებაც არ მიეცა. ამით იგი ორ საქმეს გააკეთებდა: მოხსნიდა ფიშერის ისტორიულ რეკორდს (6:0 ტაიმანოვსა და ლარსენთან პრეტენდენტთა მატჩებში) და, რაც მთავარია, არა მარტო ამ მატჩში, არამედ საერთოდ ჩამოიშორებდა გზი-

იხ. გვ. 33

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

მაღლაკი. 30 სექტემბერი. „სათაფლია“ (წყალტუბო) — „აკადემია“ (თბილისი) 12:9 (3:6).

აუტსაიდერებად შერაცხულმა წყალტუბოელებმა კიდევ ერთი სენსაცია მოახდინეს: ამჯერად მათ „აკადემიას“ მოუგეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

მატჩის დღეს წყალტუბოში გადაუღებლად წვიმდა, რამაც გავლენა იქონია გუნდების თამაშის ხარისხზე. ცხადია, ასეთ ამინდში ძნელია „კლასიკური სქემებით“ მოქმედება. ამიტომ იყო, მეტოქეებმა საკმაო უსისტემოდ, მაგრამ სანახაობრივად მიმზიდველად რომ ითამაშეს.

ანგარიში წყალტუბოელმა ქართველშვილმა საჯარიმოთი გახსნა. მასპინძლები ინიციატივასაც დაეუფლნენ, მაგრამ ვერ გამოიყენეს იგი: სველმა მოედანმა და ბურთმა გაუძნელათ მიზნის მიღწევა. აკადემიელებმა კი კონტრიერიშებზე ააგეს თამაში და ტაიმის მიწურულს კალანდაძემ რამდენიმე მეტოქესთან ჭიდილში ელეოდ. გიტანა, ნ. წიკლაურმა კი გარდასახვა გამოიყენა.

შესვენების შემდეგ კირიაკიდიმ ორჯერ, ქართველიშვილმა კი — ერთხელ საჯარიმოები გაიტანეს და დააწინაურეს „სათაფლია“. დარჩენილ დროში „აკადემია“ შტურმზე გადავიდა, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, შოთა მოდებაძემ არეკნიც გიტანა, მაგრამ დაცვაში თავგანწირვით მოთამაშე „სათაფლიამ“ მხატვრებს მეტის მიღწევის საშუალება არ მისცა.

მერაბ რატიშვილი

ამავე ტურში ჭიათურის „იმერეთმა“ შინ სძლია თბილისის „ზოვეტს“ —12:6.

კვირასვე კურიოზული ამბავი მოხდა თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა „შევარდენი“ „უნივერსიტეტს“ ანგარიშით 10:6 უგებდა, უნივერსიტეტელებს, რომლებიც მანამდე თორმეტნი თამაშობდნენ, მორაგბე დაუშავდათ, რის შედეგადაც მოედანზე თერთმეტნიღა (!) დარჩნენ. ამით ისარგებლა შეხვედრის მსაჯმა, რიცხვნაკლულ გუნდს უთხრა, „თამაშის გაგრძელების უფლება არა გაქვთო“ და მათი პროტესტის მიუხედავად, შეხვედრა შეწყვიტა.

არადა, რაგბის წესებში არსად წერია, რომ ასეთ შემთხვევაში თამაში უნდა შეწყდეს. ამის გამო რამე მითითებას არც ეროვნული ჩემპიონატის დებულება შეიცავს. ამიტომ მით უფრო საოცარი და აუხსნელია მსაჯის მოქმედება; კიდევ უფრო სავალალო კი ისაა, რომ ზოგიერთი მსაჯი თამაშის წესების ცოდნაზეც მწყარალადაა. საკითხავი აი ესაა: მსაჯი თუ წესებში ხეირიანად ვერ ერკვეოდა, რაღას იქინებდა თამაშის შეწყვეტას?

ზაალ გიგინეიშვილი

* * *

ხვალ ტურის კიდევ ერთი მატჩი გაიმართება. თბილისის სტუქუთაისის „ველათს“ უმასპინძლებს.



ჩემპიონი პრიზიორთა გუნდიდან

საგჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლაში სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი გაზაფხულზე, აპრილში გაიმართა კიევში. საქართველოს ავტომრბოლთა ნაკრებმა, რომელიც დოსაფის სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, ამ ეტაპზე V გუნდური ადგილი დაიკავა, ერთი თვის მერე რიგაში გამართულ 2 ეტაპის რბოლებში II-III ადგილები გაიყო, ახლახან ისევ კიევში მოწყობილ ბოლო, მესამე ეტაპზე კი კვლავ III საპრიზო ადგილზე გავიდა.

მოწინავეთა შორის ტრიალს, რაღა თქმა უნდა, საბოლოო შედეგიც სასიამოვნო მოჰყვა. სამივე ეტაპის ჯამში საქართველოს გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, ა-5 ჯგუფის ავტომობილებით მოასპარეზეთა პირად ჩათვლაში კი ჩემპიონის ტიტულს თბილისელი იგორ ლოგინოვი დაეუფლა. მან პირველ ეტაპზე მოიპოვა II ადგილი, მეორეზეც — II, მესამეზე — I.

„ფორმულა 1600“-ში საერთო V ადგილი დაიკავა დავით წიკლაურმა. ამავე კლასში იასპარეზეს ალექსანდრე მირიანაშვილმა, ალექსანდრე წერეუაშვილმა და გიორგი ჩხაიძემ. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ვლადიმერ გირავენკო, ზურაბ ბეჟაშვილი („ვოსტოკი“) და ნუგზარ წამალაშვილი („ა-1300“).

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

განახლდა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები წყალბურთში. თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა, რომლებიც ლვოვში ასპარეზობენ, ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს. პირველ შეხვედრაში მათ ფრედ დაამთავრეს თამაში მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 10:10, ხოლო მეორე მატჩში დამარცხდნენ მასპინძლებთან — ლვოველ თანაკლუბელებთან 17:12.

შავი ქამრისთვის — პოლონეთში

საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია არსებობის სულ რამდენიმე თვეს ითვლის, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სპორტის ეს ლამაზი და ვაჟკაცური სახეობა ახლა იდგამს ფეხს ჩვენში. ჯიუ-ჯიცუს ბევრი მიმდევარი ჰყავს საქართველოში და ფედერაციის შექმნამდე ისინი, შეიძლება ითქვას, არალეგალურად ვარჯიშობდნენ.

და აი, წლეულს, მარტში შეიქმნა საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია. ყველაფერმა ოფიციალური სახე მიიღო და დღის წესრიგში დადგა მრავალი ორგანიზაციული საკითხის მოგვარება.

თავი და თავი, რა თქმა უნდა, მწვრთნელების საკითხია. საქმე ისაა, რომ ჯიუ-ჯიცუში მომეცადინეებთან ვარჯიშის ჩატარების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც გაიარეს ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარი და ოფიციალურად მიეცათ ჯგუფებთან მეცადინეობის უფლება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციამ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მესვეურთა ხელშეწყობით, სემინარის ჩასატარებლად მოიწვია პოლონელთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მეორე დანის მფლობელი იოზეფ ლესნისკი.

ორთვიანი სემინარი გაიარა 30-მა ინსტრუქტორმა და მათ მიეცათ ჯგუფებთან მეცადინეობის უფლება. აქვე აღვნიშნავთ, რომ გარდა თბილისისა, ასეთი ჯგუფები მუშაობენ ბათუმში, გალში, ზუგდიდში, სამტრედიასა და ბორჯომში.

იმ პერიოდში, როდესაც თბილისში მიმდინარეობდა სემინარი, სამტრედიაში ჩატარდა აღმოსავლური ორთაბრძოლების ფესტივალი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენელთა გარდა მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრებიც. ამ ფესტივალზე საჩვენებელი გამოსვლებით წარსდგა ინსტრუქტორთა ერთი ჯგუფი და თავად იოზეფ ლესნისკი.

სემინარის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების წინ, პოლონელმა სტუმარმა აღუთქვა საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციის წარმომადგენლებს, რომ შემოდგომაზე მიიწვევდა ჯიუ-ჯიცუს პოლონელ ინსტრუქტორთა შეკრებაზე. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციას განზრახული აქვს ევროპის ფედერაციაში გაწევრიანება, ამისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საქართველოში იყოს, სულ ცოტა, 2 შავის ქამრის მფლობელი ინსტრუქტორი. შავი ქამრის მინიჭების უფლება კი მხოლოდ ჯიუ-ჯიცუს აკადემიის წევრს აქვს. სწორედ ამიტომ, რახან პოლონეთში არის ასეთი აკადემია და შეკრებას აკადემიის პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, არის იმედი, რომ საქართველოს წარგზავნილები შეძლებენ შავი ქამრის მოპოვებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც სპორტის ყველა ახალდანერგილ თუ „გაოფიციალურებულ“ სახეობას, ჯიუ-ჯიცუსაც აქვს გადასაჭრელი ათასგვარი საორგანიზაციო თუ ფინანსური პრობლემა. ამიტომ, ვისაც სურს ხელი შეუწყოს საქართველოში ჯიუ-ჯიცუს განვითარებას, გაცნობებთ ფედერაციის ანგარიშის ნომერს: 000700428, სახაგროსამრეწველო ბანკის საოპერაციო სამმართველო, საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია.

გიორგი ქორქია

კასპაროვი—კარპოვი: არნახული შერკინება

(დასასრული)

დან კასპაროვს. მშ ლი ანგარიშით წაგება პრეტენდენტს, ცხადია, დიდ ტრავმას ნიაყენებდა და საფიქრებელიც იყო, რომ იგი გეღარ მოახერხებდა სულიერი წონასწორობის აღდგენას,

მაშ ასე, 4 მოგება 9 პარტიის შემდეგ... ამას ზედიზედ 17 ყაიმი მოჰყვა — ყაიმების არნახული სერია მსოფლიო პირველობების ისტორიაში. შეიმჩნეოდა, რომ კარპოვი ოდნავაც კი არ რისკავდა, უბრალოდ, უცდიდა მეტოქის შეცდომებს. რაც შეეხება პრეტენდენტს, მას ყოველი ყაიმი სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა.

27-ე პარტია კარპოვის კიდევ ერთი, როგორ მეხუთე გამარჯვებით დასრულდა. კასპაროვის სამატჩო მდგომარეობა თითქმის სრულიად უიმედო გახდა. ვის შეეძლო მაშინ ეფიქრა, რომ ეს მეხუთე მოგება ჩემპიონისათვის უკანასკნელი იქნებოდა...

იმ მომენტში, როცა პრეტენდენტს ერთი წაგების უფლებაც კი არა ჰქონდა, მან არნახული სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა. რაც შეეხება კარპოვს, იგი ელოდა მეტოქის კაპიტულაციას (რომელსაც ვეღარ მოესწრო), მის მორიგ შეცდომას და კვლავინდებურად აღარ ამწვავებდა ბრძოლას. შეძლეს ბგი, უნდა ვიფიქროთ, სრულიად მართებულად წერდა, რომ საჭირო იყო ადრინდელი ყაიდით თამაში (იგულისხმება პირველი 10 პარტია), შეიძლებოდა რამდენჯერმე დავმარცხებულიყავი კიდეც, მაგრამ იმ ერთადერთ დარჩენილ პარტიას მაინც მოვიგებდი და მატჩიც დამთავრდებოდაო. ერთი სიტყვით, როგორც მოვლენათა მსვლელობამ გვიჩვენა, „მშრალ ანგარიშზე" თამაშის ტაქტიკამ აშკარად არ გაამართლა.

პირველი გამარჯვება კასპაროვმა 32-ე (!) პარტიაში მოიპოვა. ამას კვლავ 14 ყაიმი მოჰყვა. ამასთან, იგრძნობოდა, რომ პრეტენდენტი სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობდა, ჩემპიონის ძალა კი კლებულობდა.

როცა 47-ე და 48-ე პარტიებში კასპაროვმა ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა, სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა — ფიდეს პრეზიდენტის განკარგულებით მატჩი შეწყდა. ამ მომენტისათვის ანგარიში იყო +5—3=40 კარპოვის სასარგებლოდ.

პრეზიდენტის ასეთმა გადაწყვეტილებამ ჰავრაკის სამყაროში წარმოუდგენელი აჟიოტაჟი გამოიწვია. არავინ დაუჯერა კომპრომანესს, თითქოს ორივე მეტოქის ჯანმრთელობას ამ გაუთავებელი თამაშის გამო დიდი საფრთხე ემუქრებოდა და ეს მათი ინტერესების შესაბამისად გაკეთდა. კასპაროვმა პირდაპირ განაცხადა, რომ მას საშუალება არ მისცეს მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო, რადგან სრულიად გამოფიტულ კარპოვს თამაში აღარ შეეძლო და გარდაუვალი დამარცხება ელოდა. ექსპერტების უმეტესობაც ასე ფიქრობდა — კომპომანესმა მატჩის შეწყვეტით უბრალოდ იხსნა კარპოვი. მსოფლიო ექსჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა განაცხადა, რომ ამ გაუგონარი გადაწყვეტილებით ფიდეს პრეზიდენტმა სახიფათო პრეცედენტი შექმნა — რაც უნდა მომხდარიყო, მატჩი ბოლომდე უნდა მიეყვანა. კარპოვმა, რომელმაც დასაწყისში განაცხადა, რომ ეთანხმებოდა კომპომანესის გადაწყვეტილებას, ბოლო წუთებში აზრი შეიცვალა. ერთ-ერთ წლევანდელ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მატჩის შეწყვეტამ ჩემპიონი კი არა, კასპაროვი იხსნა. იმ ერთადერთ დარჩენილ პარტიას, ადრე თუ გვიან, მაინც მოვიგებდიო — ასე ამბობს კარპოვი.

ბიბი ბამრეკელი

ოლგა მოროზოვა — დიდი ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელი

ცნობილ ხაბეჭდ ჩოგბურთელი ქალი, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ოლგა მოროზოვა 1991 წლის იანვრიდან იმუშავებს ინგლისში, დიდი ბრიტანეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელად. იგი მიიწვია ამ სახეობის ბრიტანეთის ფედერაციამ. მოროზოვას კონტრაქტი, რომლის ვადა 3 წელია, ნაწილია იმ დიდი და ძვირადღირებული პროგრამისა (1 მილიონი გირვანქა სტერლინგი), რომლის მიზანია დიდ ბრიტანეთში ჩოგბურთის შემდგომი განვითარება.

ექსჩემპიონი არ ხუმრობს

42 წლის ამერიკელმა ჯორჯ ფორმენმა ლონდონში პირველსავე რაუნდში ნოკაუტით სძლია თანამემამულე ტერი ანდერსონს. ეს მისი 23-ე გამარჯვებაა ამდენსავე ბრძოლაში, რაც მისი რინგზე დაბრუნების შემდეგ გამართა. საერთოდ ამ უბერებელი მოკრივის საბრძოლო ნუსხა ასეთია — 69 გამარჯვება 71 შეხვედრაში, მათგან 65 — ნოკაუტით.

ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ჯ. ფორმენი სეროზულად უმიზნებს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას მძიმე წონის პროფესიონალთა შორის, რომელსაც 1973 წელს დაეუფლა და ერთი წლის შემდეგ მუჰამედ ალის „გადაულოცა". ახლა ფორმენი მოლაპარაკებას მართავს იმის თაობაზე, რომ შეხვდეს ახლანდელ ჩემპიონ ჯეიმს დუგლასსა და ედვარდ ჰოლიფილდს შორის გამართულს.

ინფორმაცია

გუენოს-აირესში გაიმართა სამხრეთ ამერიკის ფრენბურთელ ვაჟთა X ჩემპიონატის ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინელი და ბრაზილიელი სპორტსმენები. ანგარიშით 3:0 (15:11, 15:8, 15:5) გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა, რომლებმაც ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ეს ტიტული.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ბარბაროსები" დამარცხდნენ

შაბათს საიუბილეო, მეასე (!) სეზონი გახსნა მსოფლიოში სახელგანთქმულმა სარაგო კლუბმა — ლონდონის „ბარბერიანსმა" (ანუ „ბარბაროსებმა"). ამჯერად ამ კლუბის გუნდი, რომელშიც ოთხ-ოთხი ავსტრალიელი და ახალზელანდიელი, ორ-ორი ფრანგი, შოტლანდიელი და უელსელი, აგრეთვე ერთი ირლანდიელი „ვარსკვლავი" გამოდიოდა, ლონდონის გარაჟუბან თვალქნემში ეთამაშა უძლიერესი შემადგენლობით მოპაპარეზე ინგლისის ეროვნულ ნაკრებს.

თამაშს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ბარბაროსებს" არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი: ლაღი თამაშითა და თავდადებით მათ ფრიად ასიამოვნეს რაგბის გულშემატკივრებს. შეხვედრის ბოლო 20 წუთის წინ ინგლისელები 11 ქულითაც კი იყვნენ წინ, მაგრამ აქ „ვარსკვლავები" ანგარიშიუცემლად ათამაშდნენ, ერთ-ერთი შეტევისას 70 მეტრი „დაფარეს" და დიდებული ლელოც გაიტანეს, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 16:18 (7:9). ამ შეხვედრაში ინგლისელთა ანგარიშზე ორი ლელო (რიჩარდსი, ჰოჯქინსონი), ორი გარდასახვა და ორი საჯარიმოა (ყველა — ჰოჯქინსონი). „ბარბაროსების" ლელოები ავსტრალიელი ქემფიზისა და უელსელი ფ. დევისის ანგარიშზე მოდის. გარდა ამისა, ავსტრალიელმა ლაინაფმა გაიტანა ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო.

მორიგ საჩვენებელ თამაშს „ბარბაროსები" შაბათს, 6 ოქტომბერს გამართავენ. ისინი კარდიფში უელსის ნაკრებს ეთამაშებიან.

(ხაკ. ინფ.).

მენსელის პირველი გამარჯვება

„ეშტორილის" ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-13 ეტაპი „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა პორტუგალიის „გრან პრი".

პირველი საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო აირტონ სენამ და ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა. მეორე იყო ბერგერი, მესამე და მეოთხე — პროსტი და მენსელი.

მეორე დღეს „მაკლარენისა" და „ფერარის" პილოტებმა ადგილები შეიცვალეს. ნაიჯელ მენსელმა მე-15 საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო, მეორე იყო პროსტი.

სტარტი ყველაზე დაძაბული მომენტია ავტორბოლაში. სწორედ აქ მყლავნდება თითოეული პილოტის ოსტატობის დონე.

„ეშტორილზე" სანამ კვლავ დაამტკიცა, რომ ყველაზე სწრაფი რეაქცია აქვს. მენსელი წამით შეყოვნდა. ამით ისარგებლა მის უკან მდგომმა სენამ, ლამაზი მანევრით აუარა გვერდი ინგლისელ პილოტს და დაწინაურდა.

ბრაზილიელი მრბოლი 28 წრის განმავლობაში ლიდერობდა, შემდეგ კი ბოქსში შევიდა საბურავების გამოსაცვლელად. სწორედ ამ დროს გაუსწრო ბერგერმა პროსტს და ლიდერის პოზიცია დაიკავა, თუმცა მალე მასაც მოუხდა ბოქსში შესვლა.

სენა კვლავ დაწინაურდა. ახლა მეორე ადგილზე გადაინაცვლა მენსელმა. სულ მალე ერთ-ერთ მოსახვევთან ინგლისელმა პილოტმა მისთვის დამახასიათებელი მანერით ჩამოიტოვა ხენა და დაწინაურდა. ფინიშამდე ცოტა იყო დარჩენილი, რომ ერთიმეორის მიყოლებით ავარიაში მოყვნენ ჯერ ფილიპ ალიე, შემდეგ კი ალექს კაფი. ფრანგი პილოტი ერთი წრით ჩამორჩებოდა ლიდერს. მას ნაიჯელ მენსელი წამოეწია და მოემზადა გასასწრებად, ალიემ გზა დაუთმო, მაგრამ დიდი სიჩქარის გამო საჭე ვერ დაიმორჩილა და მისი „ლიჟიე" ბარიერს შეეჯახა. იგივე მიზეზის გამო გამოეთიშა ასპარეზობას ალექს კაფი, რომლის „ეროუზმაც" გზა გადაუღობა დანარჩენებს ისე, რომ რბოლის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა.



შეჯიბრება შეწყდა და პილოტებს ქულები ჩაეთვალათ ტრასაზე დაკავებული ადგილების მიხედვით.

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი") — 9; 2. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა"). — 6; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — 4; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა") — 3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია) — 2; 6. ალესანდრო ნანინი (იტალია) — 1 (ორივე „ბენეტონ-ფორდი").

პირადი ჩათვლა:

1. აირტონ სენა — 78; 2. ალენ პროსტი — 60; 3. გერჰარდ ბერგერი — 40; 4. ტიერი ბუტსანი — 27; 5. ნელსონ პიკე— 26; 6. ნაიჯელ მენსელი — 25; 7-8. რიკარდო პატრეზე, ალესანდრო ნანინი — 17-17; 9. ჟან ალესი — 13; 10. ივან კაპელი —6; 11. ერიკ ბერნარი — 5; 12. დერეკ უორვიკი — 3; 13-15. სტეფანო მოდენა, ალექს კაფი, სატორუ ნაკაჰმა — 2-2; 16-17. აუგური სუბუკი, მაურიშიო გუჟელმინი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენ-ჰონდა" — 118; 2. „ფერარი" — 85; 3. „უილიამს-რენო" — 44; 4. „ბენეტონ-ფორდი" — 43; 5. „ტაირელ-ფორდი" — 15; 6. „ლეიტონ ჰაუს (მარჩ)-ჯადი" — 7; 7. „ლოლა ლამბორგინი" — 6; 8. „ლოტუს-ლამბორგინი" — 3; 9-10. „ბრებემ-ჯადი", „ეროუზ-ფორდი" — 2-2 ქულა.

ნაიჯელ მენსელმა მოიგო მე-16-ე „გრან პრი" — მეორე „ეშტორილზე" და პირველი წლევანდელ სეზონში. „ფერარისთვის" ეს იყო 102-ე გამარჯვება.

ტრასის რეკორდი დაამყარა რიკარდო პატრეზემ (1 წუთი და 18,306 წამი. საშუალო სიჩქარე საათში 199,985 კილომეტრი).

როგორც იცით, ინგლისის „გრან პრის" გათამაშების შემდეგ ნაიჯელ მენსელმა განაცხადა, რომ წლევანდელი სეზონი მისთვის საბოლოოა. მაგრამ პორტუგალიაში, შეჯიბრების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე, მან თქვა, რომ შესაძლებელია მომავალ წელს იასპარეზოს „ტაირელ-ჰონდას" ავტომობილით.

დავით ჩუბინიძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს

მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დაწრებულ (წარმოებიდან მოწყვეტით) და დაუწრებელ (წარმოებიდან მოუწყვეტლად) სწავლების განყოფილებებზე.

ორივე განყოფილებაზე მიღება წარმოებს სპეციალობით „ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნის და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის, თეორია და მეთოდიკა" (სპორტის სახეობების მიხედვით).

წარმოებიდან მოწყვეტით შიგარეგანი სპეციალობა: ფიზიკური აღზრდის, ბალეტი, ფეხბურთი, ტენისი, ფარიკაობა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ცურვა, ფრენბურთი, ფიზიკური კულტურა ინვალიდებისთვის.

ასპირანტურაში გამოყოფილია ერთი ადგილი პათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის, ხოლო წარმოებიდან მოუწყვეტლად ერთი ადგილი — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება ინსტიტუტის რექტორის სახელზე, დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, 6 ფოტოსურათი (ზომით 6X9, უქუდოდ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია, გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომათა სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობის მიხედვით).

წარმოებიდან მოწყვეტით მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ სპეციალობით მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

ასპირანტურადამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაცია (დანარჩენ საბუთებთან ერთად საჭიროა ამონაწერი საბჭოს სხდომის ოქმიდან).

წარმოებიდან მოუწყვეტლად მიიღებიან მოქალაქეები 45 წლის ასაკამდე რომელთაც აქვთ არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით.

საბუთები მიიღება ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა. ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო მისაღებ გამოცდებს: ფილოსოფიაში, უცხო ენასა და სპეციალობაში.

გამოცდები დაიწყება 9 ნოემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებაში. მისამართი: 380062. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 49. ტელეფონი: 29-37-94.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუხწრებელი სწავლების ფაკულტეტის IV კურსელთა საყურადღებოდ! დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი გაცნობებთ, რომ 15-27 ოქტომბერს თბილისის სკოლების ბაზაზე ჩატარდება სასკოლო-პედაგოგიური პრაქტიკა წარმოებიდან მოწყვეტით. ყველა IV კურსელისათვის, მათ შორის სკოლის მასწავლებლებისათვის, პრაქტიკის გავლა სავალდებულოა.

დეკანატი.

ავლაბრის სტადიონი
(ბოგორმის ქ. № 18)

ფეხბურთი

8 ოქტომბერი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ჯგუფი, აღმოსავლეთის ზონა)

„მრეტები" (თბილისი) — „მართვე" (თბილისი)

დასაწყისი 15 საათსა და 30 წუთზე.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ზომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20